კენჭისყრის შედეგების ოქმი

საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ გამოცხადებული პლატფორმების რეგრანტინგზე ჩაატარა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ერთი ორგანიზაცია „ლიბერალური აკადემია - თბილისი“.

კენჭისყრა ჩატარდა ორ ეტაპად: 2019 წ. 10 იანვარს გამართულ ჯგუფების გაფართოებულ შეხვედრებზე, რომელსაც საერთო ჯამში დაესწრო 52 წევრი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ასევე ელექტორნულად, რაც საშუალებას აძლევდა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც ვერ მოახერხეს ჯგუფის შეხვედრაზე დასწრება დისტანციურად დაეფიქსირებინათ თავისი პოზიცია. ხმის მიცემის პროცედურა ჩაირთო 2019 წ. 18 იანვარს და გაგრძლედა 2 დღის განმავლობაში და დასრულდა 19 იანვარს 20:00 საათზე.

საკოორდინაციო საბჭოს 2019 წ. 14 იანვარის შეხვედრაზე დადგინდა ის პროცედურული საკითხები და პრინციპები, რომლის მიხედვითაც კენჭისყრის პროცესი ჩაითვლებოდა ლეგიტიმურად. საქართველოს ეროვნული პლატფორმა აერთიანებს ხმის უფლების მქონე 179 წევრ ორგანიზაციას. კენჭისყრის ჩატარების დროს გამოყენებულ იქნა ის პროცედურა, რომელიც დადგენილია საერთო კრებისთვის. კერძოდ, კენჭისყრის პროცესის ლიგიტიმურობის უზრუნველსაყოფად, საჭირო იყო, რომ მასში მონაწილეობა მიეღო პლატფორმის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევრზე მეტს (91 ორგანიზაცია), ხოლო გადაწყვეტილება კენჭისყრაში მონაწილეთა უბრალოდ უმრავლესობით მიიღებოდა. ინკლუზიურობის პრინციპის გათვალისწინებითა და მიმდინარე პროცესში პლატფორმის წევრთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, კენჭისყრა გაგრძელდა ელექტრონულად. კენჭისყრის შედეგების დათვლა და შეჯამება დაევალა საკოორდინაციო საბჭოს წევრს და პირველი ჯგუფის კოორდინატორს, ქალბატონ მანანა ბიწაძე-მიქელაძეს.

ჯგუფების გაფართოებულ შეხვედრებზე კანდიდატმა ორგანიზაციამ მიიღო დამსწრეთა სრული მხარდაჭერა (52 ხმა). ელექტრონულად მიღებული ხმები კი შეაჯამა და დათვალა კენჭისყრის პროცედურაზე პასუხისმგებელმა პირმა, ქალბატონმა მანანა ბიწაძე-მიქელაძემ.

ელექტრონული კენჭისყრის შედეგად დაფიქსირდა 41 წევრი ორგანიზაციის ხმა, რომელთაგან წინააღმდეგ ხმა არც ერთს არ მიუცია, ექვსმა თავი შეიკავა, ხოლო დანარჩენმა 35-მა ორგანიზაცამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ კანდიდატურას.

სულ კენჭისყრაში მონაწილეობდა ეროვნული პლატფორმის 93 წევრი ორგანიზაცია, რომელთაგან 87 ორგანიზაციამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა „ლიბერალური აკადემია - თბილისის“ კანდიდატურას, 6-მა კი თავი შეიკავა.

საკოორდინაციო საბჭოს წევრი, პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - მანანა ბიწაძე-მიქელაძე

ფორუმის თანათავმჯდომარე - ალექსანდრა კალატოზიშვილი